

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მამუკა დევიძის მიერ გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მიმდინარე ანგარიში მოიცავს პერიოდს გასული 2014 წლის 1 აგვისტოდან. აღნიშნულ მონაკვეთში მოხდა შეხვედრები პერევისის თემის ყველა სოფლის მოსახლეობასთან. შეხვედრაზე გამოიკვეთა შედარებით სერიოზული საკითხები: ყველა სოფელში საუბნო გზების რეაბილიტაცია და აგრეთვე სასმელი წყლის მიღების შეცვლა.

1. სოფ. კალაური--სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფელში კეთდება სარიტუალო დარბაზი. დაგეგმარა „ჯორჯიან მანგანეზი“ და 9 მანქანა ფუჭი ქანი (კუდი) შევიტანეთ სარიტუალო დარბაზის მოსასწორებლად.

2. სოფ. პერევისა--სოფლის პროგრამის დახმარებით სოფელში შენდება სარიტუალო დარბაზი. ასევე „ჯორჯიან მანგანეზის“ დახმარებით შეიძვალა სასმელი წყლის მილი 1200მ, კერძოდ ჩაჩანიძეების, ფხალაძეების და კუპატაძეების უბანში. კეთდება დევიძეების უბანზე წყლის მილი.

3. სოფ. ჭილოვანი--კეთდება ბეტონის გზა 85 მეტრზე (ეკლესიასთან). შეძენილი იქნა 30 ტონიანი წყლის ავზი, გაკეთდა წყლის სისტემა სოფლის პროგრამის დახმარებით. „ჯორჯიან მანგანეზის“ დახმარებით სოფელში მისასვლელი გზა გავასწორეთ გრეიდერით.

4. სოფ. შუქრუთში, წინსოფელში და სკინდორში მიმდინარეობს სოფლის პროგრამით, როგორც სარიტუალო დარბაზის, აგრეთვე წყლის სისტემის შეცვლა და მოწესრიგება. სოფ. სკინდორში მისასვლელი სატრანსპორტო გზის გასასწორებლად გამოიყო 500მ/კუბი ღორღი, რაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული და ვადევნებდი თვალ-ყურს მასალების შეტანას და მის სწორად მართვას.

აქტიურად ვარ ჩართული, რათა 2016-2017 წლის პრიორიტეტების ჩამონათვალში ჩაისვას სოფლების შუქრუთის და ჭილოვანის მისასვლელი გზების პროექტირება-რეაბილიტაცია. რა თქმა უნდა პრობლემები ძალზე ბევრია და იმედი მაქვს ეტაპობრივად ყველა პრობლემა მოგვარდება.